ᲑᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 47-Ე ᲬᲚᲘ | № 8 (13690) | ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1967 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ

ᲐᲗᲘ თვე გვაშორებს დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავს. ჩვენთან ერთად მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაბადების მსოფლიო-ისტორიულ თარიღს ზეიმით აღნიშნავენ ყველა ქვეყნის მშრომელები.

გუშინ გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ". დადგენილებაში ღრმად არის გაშუქებული მომავალი იუბილეს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისა და მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის, მასების რევოლუციური აღზრდისათვის.

ოქტომბრის რევოლუციამ დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, კაპიტალიზმის მსხვრევის ერა, კაცობრიობის ბედი შემობრუნა სოციალიზმისაკენ. „კაცობრიობის ისტორია, — წერდა ვ. ი. ლენინი ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შემდეგ, — ამჟამად განიცდის ერთ-ერთ უდიდეს, უხნელეს შემობრუნებას, რომელსაც განუზომელი — შეიძლება სრულიად გადაუჭარბებლად ითქვას: მსოფლიო-განმათავისუფლებელი — მნიშვნელობა აქვს... ჩვენ შემოვიღეთ და განვამტკიცეთ საბჭოთა რესპუბლიკა, სახელმწიფოს ახალი ტიპი, განუზომლად უფრო მაღალი და დემოკრატიული, ვიდრე საუკეთესონი ბურჟუაზიულ-პარლამენტურ რესპუბლიკებს შორის. ჩვენ დავამყარეთ დიქტატურა პროლეტარიატისა, რომელსაც მხარი დაუჭირა უღარიბესმა გლეხობამ, და შევუდექით სოციალისტურ გარდაქმნათა ფართოდ მოფიქრებული სისტემის განხორციელებას. ჩვენ გამოვაღვიძეთ საკუთარი ძალების რწმენა და ავანთეთ ენთუზიაზმის ცეცხლი ყველა ქვეყნის მუშათა მილიონებში. ჩვენ ყველგან გადავისროლეთ მოწოდება საერთაშორისო მუშათა რევოლუციისაკენ. ჩვენ ბრძოლაში გამოვიწვიეთ ყველა ქვეყნის იმპერიალისტური მტაცებლები".

გასული ნახევარი საუკუნის მანძილზე კაცობრიობის განვითარება მიმდინარეობდა ოქტომბრის რევოლუციის იდეების, უდიდეს რევოლუციურ საქმეთა გამარჯვების ნიშნით, რამაც ძირეულად შეცვალა მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური რუკა.

ოქტომბრის 50 წლისთავი კომუნიზმის, მარქსიზმ-ლენინიზმის, მუშათა მოძრაობის დიადი იდეალების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეების გამარჯვებათა დღესასწაულია.

ამ დღესასწაულისათვის მზადების დღეებში, ისევე როგორც ყოველთვის, საბჭოთა ადამიანებს მთელი თავიანთი საქმეებისა და მისწრაფებების შთამაგონებლად მიაჩნიათ კომუნისტური პარტია, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლუცია, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლა. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის საქმის დიდმა განმგრძობმა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა და ბელადმა, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისათვის მებრძოლმა ვ. ი. ლენინმა მთელი თავისი ძალები, თავისი გენიალური გონება მოახმარა რევოლუციის საქმეს, მშრომელთა ბედნიერებისათვის ბრძოლას. ემზადებიან რა საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისათვის, ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი კვლავ და კვლავ გამოხატავენ თავიანთ სიყვარულს ილიჩისადმი, ურყევ გადაწყვეტილებას წმიდად შეასრულონ მისი ანდერძი, გაუფრთხილდნენ ოქტომბრის მონაპოვართ და ამრავლონ ისინი.

დღეს მთელი თავისი სიდიადით წარმოგვიდგება შედეგები იმ ჭეშმარიტად გიგანტური ბრძოლისა და უმაგალითო სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნებისა, რომლებიც ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინა განვლილ ათწლეულებში. საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე — პროლეტარული დიქტატურის გამარჯვებისათვის ბრძოლებში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის კოოპერირების ლენინური გეგმის განხორციელებაში, სოციალიზმის მშენებლობასა და ომის განსაცდელში — ჩვენმა ხალხმა ცხადყო თავდადება, რევოლუციური ორგანიზებულობა, გამძლეობა, შეგნებული დისციპლინა და მიზანსწრაფვა.

ჩვენ გავიარეთ უდიდესი ისტორიული გზა. როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია ნათქვამი, ეს არის გზა მემამულურ-კაპიტალისტური წყობილებიდან ძირეული სოციალისტური გარდაქმნებისაკენ, საზოგადოებისაკენ, რომლისთვისაც უცხოა ექსპლოატაცია; მშრომელთა პოლიტიკური უუფლებობიდან — სოციალისტური დემოკრატიისაკენ, ხალხთა ეროვნული ჩაგვრიდან მათი თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ, მეგობრობისა და ძმობისაკენ; ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობიდან — თანამედროვე ინდუსტრიისა და მექანიზებული კოლექტიური სოფლის მეურნეობისაკენ; უწიგნურობიდან — სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის უმაგალითო ზრდისაკენ. სსრ კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება და კომუნიზმის მშენებლობაზე გადასვლა ჩვენი ქვეყნის რევოლუციურ გარდაქმნათა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი შედეგია.

სსრ კავშირის მუშათა კლასმა, ყველა მშრომელმა, ააშენეს რა სოციალიზმი, მოიპოვეს უდიდესი სოციალური უფლებანი და შესაძლებლობანი. შრომისა და დასვენების, უფასო განათლების, სამედიცინო მომსახურების, პენსიით უზრუნველყოფის უფლებები ჩვენი ადამიანებისათვის ბუნებრივი და ჩვეული გახდა. სოციალიზმმა მშრომელებს თავიდან აიცილა უმუშევრობა, თვითნებობა და სიღატაკე, აამაღლა მათი მოქალაქეობრივი ღირსება და პატივი. საბჭოთა ყოფილება ახალგაზრდობის მამაცობისა და წრთობის დიდი სკოლაა, მან უზრუნველყო ქალთა პოლიტიკური და ეკონომიური თანასწორუფლებიანობა.

ყოველივე ის, რაც მიღწეულია ჩვენს ქვეყანაში, იმის შედეგია, რომ შემოქმედებითად აზროვნებს და თავდადებით შრომობს მუშათა კლასი, მთელი საბჭოთა ხალხი, რომელსაც კომუნისტთა პარტია ხელმძღვანელობს. პრაქტიკულად სავსებით დადასტურდა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება მუშათა კლასის ისტორიული როლის შესახებ რევოლუციის გამარჯვებასა და სოციალიზმის მშენებლობაში. მუშათა კლასი საბჭოთა საზოგადოების ყველაზე მოწინავე და ხელმძღვანელი ძალაა კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე. სოციალიზმის აშენებისათვის საერთო ბრძოლაში გაძლიერდა და განმტკიცდა მუშათა და გლეხთა კავშირი. კოლმეურნე გლეხობა დაუცხრომელი ენერგიით შრომობს, რათა ამრავლოს საზოგადოების სიმდიდრე. ღირსეულად ემსახურება თავის ხალხს საბჭოთა ინტელიგენცია.

სამშობლოს გმირულ მატიანეში სამუდამოდ შევიდა მის სახელოვან მებრძოლთა და მშრომელთა სახელები და საქმენი. ჩვენს გულში მუდამ წმიდათა-წმიდა იქნება რევოლუციონერთა, ბოლშევიკ ლენინელთა ხსოვნა, რომლებიც მეფის საპყრობილეებსა და გადასახლებაში დაიღუნენ, სოციალისტური რევოლუციისა და სამოქალაქო ომის სახალხო გმირთა ხსოვნა. არ ჩაქრება ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ შვილთა დიდება, რომლებმაც მოიპოვეს და დაიცვეს საბჭოთა ხელისუფლება,

ПРАВДА

9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ

სოციალისტური წყობილება, სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მარად იცოცხლებს იმათი საქმეები, ვინც თავისი შრომით ამრავლებდა და ამრავლებს საბჭოთა საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს. ჩვენი ხალხის დიადი გმირობა მაგალითი იქნება მომავალ თაობათათვის, ყველასათვის, ვინც თავისუფლების გზა აირჩია.

საბჭოთა საზოგადოება იქმნებოდა და მტკიცდებოდა გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლებში. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მოუხდათ არაერთი დაბრკოლების დაძლევა, თავიანთ მხრებზე გადაიტანეს წარმოუდგენელი სიძნელენი. პარტიამ და ხალხმა განიცადეს როგორც დიდ გამარჯვებათა სიხარული, ისე დანაკლისის, დროებითი წარუმატებლობისა და შეცდომების სიმწარე. და ყველა განსაცდელიდან ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი გამოდიოდნენ უფრო გამოწრთობილნი, უფრო ძლიერნი, ურყევი რევოლუციური ოპტიმიზმითა და დიადი კომუნისტური საქმის გამარჯვების რწმენით აღსავსენი.

საბჭოების ქვეყნის ნახევარსაუკუნოვანი განვითარების შედეგები გვიჩვენებენ: მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული თეორიით შეიარაღებული პარტია რომ არ გვყოლოდა, მუშათა კლასის გამარჯვება და სოციალიზმის აშენება შეუძლებელი იქნებოდა. ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა იმ გზის სისწორე, რომლითაც მიდის საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენს პარტიას მაღლა უჭირავს ლენინის დიადი დროშა. შეიძინა რა კომუნისტური მშენებლობის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობის უმდიდრესი გამოცდილება, იგი განუხრელად ავითარებს და ამდიდრებს მარქს-ენგელს-ლენინის თეორიულ მემკვიდრეობას, მტკიცედ მიუძღვის ჩვენს ქვეყანას ლენინური კურსით. საბჭოთა ხელისუფლების იუბილესათვის მზადება აღინიშნება ხალხის შემდგომი შეკავშირებით თავისი მშობლიური პარტიის გარშემო.

ოქტომბრის რევოლუციის სახელოვანი ორმოცდამეათე წლისთავის წინ კაცობრიობას მთელი სიღრმითა და სიძლიერით წარმოუდგება განსაცვიფრებელი სიზუსტე ლენინის დასკვნისა, რომ ისტორია 1917 წლის ოქტომბრიდან განიცდის ერთ-ერთ უდიდეს შემობრუნებას, რომელსაც მსოფლიო-განმათავისუფლებელი მნიშვნელობა აქვს. ოქტომბრის რევოლუციამ მძლავრი სტიმულები მისცა რევოლუციურ მოძრაობას, ერთიან ნაკადად გააერთიანა პროლეტარიატისა და სხვა რევოლუციური ძალების ბრძოლა სოციალიზმისათვის და ჩაგრულ ხალხთა ბრძოლა ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, უდიდესი გამარევოლუციურებელი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ხალხებზე. მან დასაბამი მისცა რევოლუციურ ცვლილებებს კონტინენტის ყველა ნაწილში. სოციალისტურმა რევოლუციებმა გაიმარჯვეს ევროპის, აზიის ბევრ ქვეყანაში, აგრეთვე ლათინურ ამერიკაში — კუბაში. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა გაგრძელებაა მსოფლიოს რევოლუციური განახლებისა, რაც ოქტომბერმა დაიწყო.

წმიდად ასრულებს რა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, ჩვენი კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა განამტკიცოს სოციალისტური სისტემის შეკავშირება და ძლიერება, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. საბჭოთა კავშირი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზეა. ჩვენი ხალხი ძმურ დახმარებას უწევს ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ გმირ ვიეტნამელ ხალხს, დიდი წვლილი შეაქვს თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ყველა მშრომელთა ბრძოლის საქმეში.

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ და კარგად ვიცით პროლეტარული სოლიდარობის ძალა. ეგებებიან რა ოქტომბრის 50-ე წლისთავს, ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი დიდ მადლობას უძღვნიან საერთაშორისო მუშათა კლასს, მთელი მსოფლიოს მშრომელებს მხარდაჭერისათვის, რომელსაც ისინი უწევდნენ და უწევენ საბჭოების ქვეყანას რევოლუციის პირველი დღეებიდან. საბრძოლო მოწოდება „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან!" პროლეტართა ინტერნაციონალური ერთიანობის სიმბოლო გახდა სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში. საბჭოთა ხალხი მუდამ გრძნობდა ყველა ქვეყნის მშრომელთა მხარდაჭერას სოციალისტური მშენებლობის პერიოდში. ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ ანტიფაშისტური ბრძოლის მონაწილეთა მამაცობასა და გმირობას, ბრძოლისა, რომელიც განუყრელად შეუერთდა ჩვენი ხალხის დიდ სამამულო ომს ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ. საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისა და მშრომელთა სიმპათიები და მხარდაჭერა საბჭოების ქვეყნისადმი აღაფრთოვანებს ჩვენს ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

სიამაყით ვავლებთ რა თვალს ბრძოლისა და შრომის განვლილ წლებს, ჩვენ ამასთანავე შევყურებთ მომავალს. დიდი რევოლუციის წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო წესია, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, მთავარი ყურადღება მივაპყროთ გადაუჭრელ ამოცანებს. პარტია ერთგულია ამ ლენინური ტრადიციისა. ეყრდნობიან რა ჩვენს ქვეყანაში შექმნილ მძლავრ საწარმოო ძალებს, საბჭოთა ადამიანები მთელი თავიანთი ენერგიითა და სიმტკიცით იბრძვიან სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული გეგმების განხორციელებისათვის. გრანდიოზულია ჩვენი პერსპექტივები. ამ ხუთწლედში მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების დანერგვის საფუძველზე მნიშვნელოვნად უნდა ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. ჩვენ განვავითარებთ მრეწველობას, მეცნიერებასა და ტექნიკას, ავაშენებთ ახალ ქარხნებსა და ფაბრიკებს, ავამაღლებთ სოფლის მეურნეობის დონეს, გავზრდით შრომის ნაყოფიერებას. ყოველივე ეს კეთდება სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

ყოველ დღეს, რომელიც გვაახლოებს ღირსშესანიშნავ თარიღთან, ახალი შრომითი გამარჯვებების ამბები მოაქვს. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მშრომელთა კოლექტივების ინიციატივა გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად. მოწინავეთა მიღწევები დაგვირგვინდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშებით.

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი ორგანიზატორული მუშაობა უნდა გასწიონ. თვითეულ კოლექტივს, რაიონს, ოლქს უნდა ჰქონდეს დღესასწაულისათვის მზადების კონკრეტული გეგმა. მთელი პოლიტიკური მუშაობა მოწოდებულია ხელს უწყობდეს ჩვენი ხალხის სახელოვანი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების, სოციალისტური პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის შემდგომ განვითარებას, მშრომელებისათვის მაღალ მორალურ თვისებათა ჩანერგვას. პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, მთელ პროპაგანდისტულ მუშაობაში საჭიროა ღრმად ვაშუქებდეთ ოქტომბრის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნებისათვის, მის გავლენას მსოფლიო პროცესებზე, სოციალისტური რევოლუციების გამარჯვებაზე სხვა ქვეყნებში, საჭიროა ფართოდ ვაჩვენებდეთ სოციალიზმის ძირეულ უპირატესობებს კაპიტალიზმთან შედარებით, ავსახავდეთ კომუნისტური პარტიის სახელოვან რევოლუციურ საქმიანობას, საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების მიღწევებს, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, ვრაზმავდეთ ადამიანებს ახალი შრომითი გმირობისათვის.

ჩვენმა ხალხმა შემოქმედებითი ძალებით აღსავსემ დაიწყო საიუბილეო წელი. მუშებისადმი, სოფლის მშრომელებისადმი, ჩვენი ინტელიგენციისადმი, საბჭოთა მეომრებისადმი, ქალებისა და ახალგაზრდობისადმი მიმართულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება, რომ საბჭოთა ხელისუფლების მომავალი იუბილე აღნიშნონ ახალი წარმატებებით სოციალისტური მრეწველობის განვითარებასა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და საბჭოთა საზოგადოების სულიერი კულტურის გამდიდრებაში, ხალხის სოციალისტურ მონაპოვართა დაცვაში.

ეგებებიან რა ოქტომბრის სახელოვან 50-ე წლისთავს, საბჭოთა ადამიანები თავიანთი აღმშენებლობითი შრომით კიდევ უფრო გაამრავლებენ სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას, მიაღწევენ ახალ გამარჯვებებს კომუნისტური მშენებლობის იმ დიადი გეგმების განხორციელებაში, რომლებიც განსაზღვრულია პარტიული პროგრამითა და სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით.

ყოველ ჩვენს ახალ წარმატებასთან ერთად სულ უფრო მაღლა ფრიალებს დიდი ოქტომბრის დროშა. მისი იდეები და საქმეები — კომუნიზმის დიადი იდეები — ცოცხლობენ და იმარჯვებენ!

ᲓᲘᲐᲓ ᲗᲐᲠᲘᲦᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲛᲝᲓᲘᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). დგანი „140" ერთ-ერთი მოწინავე აგრეგატი მეტალურგიულ ქარხანაში. აქ დამზადებულ მილებს ფართოდ იყენებენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ისინი იგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში და შუა აზიის რესპუბლიკებში. მათზე დიდ მოთხოვნას აყენებენ საზღვარგარეთის ქვეყნებიც.

გრძნობენ რა ესოდენ დიდ პასუხისმგებლობას, ქართველი მილმგლინავები კეთილსინდისიერად ასრულებენ ყველა დაკვეთას. ახლა აქ ფართოდ არის გაჩაღებული მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრასათვის. იანვრის პირველ რვა დღეში დგანმა „140"-მა ათობით ტონა პროდუქცია გადმოუშვა გეგმის გადამეტებით და 107 პროცენტით შეასრულა გასული დღეების დავალება.

განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ უფროსი მვალცავები ტ. ტურიაშვილი, ა. აბუთიძე, კ. შპორშაძე, გ. ალაბიძე და სხვები.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲠᲘᲜᲔᲠᲘ მანქანა-იარაღების დამამზადებელი ქარხნის პროდუქცია ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. ქარხნის კოლექტივმა დიდი გადაკარბებით განაღდა ხუთწლედის პირველი წლის დავალება და, დადგა რა ოქტომბრის 50 წლისთავის შრომითს ვახტზე, კარგი სტარტი აიღო 1967 წლის პირველ დღეებშივე.

გუშინ იანგარიშეს შვიდი დღის შედეგები. გამოირკვა, რომ ქარხანამ დავალება 105 პროცენტით განაღდა და გეგმის გადამეტებით 50 ცალი ავტომაქსი და 200 ცალი ჩაის სასხლაი მაკრატელი გამოუშვა.

გუშინ ქარხნის ტერიტორიიდან წელს სათვალავით პირველი ავტომაქსების პარტია 400 ცალის რაოდენობით გაიგზავნა უბნებეკში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲢᲕᲘᲠᲗᲐᲕᲔᲑᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ელექტრომექანიკური ქარხანა საქართველოს ერთ-ერთი დიდი სამრეწველო საწარმოა. აქ მზადდება რთული მოწყობილობა ნავთობისა და გაზის მრეწველობისათვის, სხვადასხვა სახის ძლავრი ტუმბოები, საშახტე ელექტროძავლები, სინქრონული ძრავები კომპრესორებისათვის. ეს ნაკეთობანი შორს არის ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთ. ისინი იგზავნება ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში და საზღვარგარეთის 16 ქვეყანაში.

ახლა ქარხანაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ღირსშესანიშნავი საიუბილეო თარიღის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. საწარმოს საამქროებში ფართოვდება ბრძოლა დავალების გადაჭარბებით შესრულებისათვის, პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის, ლითონისა და მასალების ეკონომიისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ქარხნის დიდ და შეხმატკბილებულ კოლექტივში შრომობენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები—წარმოების ვეტერანები და ახალგაზრდობა. საწარმოს მოწინავე ადამიანთა შორის ათობით არიან რაციონალიზატორები და ნოვატორები, ბევრი ახალი პროგრესული წამოწყების ინიციატორები.

წელს ქარხანაში მოვიდა ახალგაზრდობის დიდი ჯგუფი — საშუალო სკოლების კურსდამთავრებულნი. მოკლე ვადაში ისინი სხვადასხვა საწარმოო სპეციალობას დაეუფლნენ და ახლა წარმატებით შრომობენ თავიანთ უბნებზე.

ქარხნის კოლექტივმა კარგი საჩუქარი მოამზადა საიუბილეო წლისათვის — კონსტრუქტორთა, მუშათა და ინჟინერთა მჭიდრო თანამშრომლობით ათვისებულია 5-დან 45 ტონამდე ტვირთამწეობის მძიმე წონის ახალი სამრეწველო ელექტრომტვირთავების გამოშვება. მალე ჩვენი ქვეყანა მიიღებს ქუთაისის მარკის ელექტრომტვირთავების პირველ პარტიას, რომლებიც ძლიერ სჭირდებათ ტრანსპორტსა და სამრეწველო საწარმოებს.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზევით — სინქრონული ელექტროძრავების აწყობა ელექტრომანქანების საამქროში.

ქვევით — მოწინავე გადამზეგები ნ. კოსტავა (მარცხნივ) და ბ. ისაკაძე.

ტექსტი და ფოტო ს. კილაძისა.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲧᲓᲐᲜᲝᲕᲘ

8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (საკდისი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც დონეცკის ოლქში იმყოფება, ეწვია ქალაქ უდანოვს. მასთან ერთად აქ იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. შჩერბიცკი, აგრეთვე უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი პარტიის დონეცკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. დეგტიარევი.

უდანოვის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. მან დაათვალიერა ილიჩის სახელობის ქარხანა — ჩვენი ქვეყნის სამხრეთის ერთ-ერთი უძველესი მეტალურგიული საწარმო. შვიდწლედის მანძილზე აქ აშენდა და ამოქმედდა უდიდესი საამქროები და აგრეგატები.

ახალ საამქროთა რიცხვშია თხელფურცლოვანი დგანი „1700", სადაც უკვე მიღწეულია პროექტით გათვალისწინებული წარმადობა. მუშებმა და ინჟინერებმა, რომლებმაც ეს ა�eნეს ლ. ი. ბრეჟნევს, ილაპარაკეს შრომის პირობებზე, თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებასა და დასვენებაზე, აგრეთვე განაცხადეს, რომ კოლექტივი ამზადებს ახალ შრომითს სიჩუქარს — აპირებს საიუბილეო წელს გამოუშვას 10 ათასი ტონა ზეგეგმითი ლითონი.

უანგბადის კონვერტორულ საამქროში ლ. ი. ბრეჟნევი, პ. ე. შელესტი და ვ. ვ. შჩერბიცკი ეესაუბრნენ დონეცკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 22 წლის ვიტალინელ სტუდენტს ვუ დინ თხუანს, რომელიც აქ გამოცდილ მეფოლადეთა ხელმძღვანელობით გადის საწარმოო პრაქტიკას. სწავლის დამთავრების შემდეგ, წელს, იგი გაეგზავნება სამშობლოში, სადაც ოსტატად ეყოფა.

ლ. ი. ბრეჟნევი, პ. ე. შელესტი, ვ. ვ. შჩერბიცკი იყვნენ ახალ მარტენის საამქროში, სადაც ესაუბრნენ ევროპის უდიდესი № 5 ბრძმედის მუშებსა და ინჟინრებს.

საამქროებში ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ: ილიჩის სახელობის ქარხნის დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ვ. ო. კულიკოვი, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრი ი. პ. კაზანეცი.

საქარხნო სამმართველოში ლ. ი. ბრეჟნევი, პ. ი. შელესტი, ვ. ვ. შჩერბიცკი შეხვდნენ საწარმოს სამეურნეო და პარტიულ მუშაკებს, ქალაქის ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. საუბრის დროს შეეხნენ ლითონის გამოშვების ზრდის რეზერვების გამოყენებისა და წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის, მუშათა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, საბინაო მშენებლობის ტემპების დაჩქარების საკითხებს. აღინიშნა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა და დაუქვემდებარონ იგი საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიული იუბილესათვის საყოველთაო-სახალხო მზადების ამოცანებს.

ლ. ი. ბრეჟნევმა ქარხნის კოლექტივს წარმატებები უსურვა დიდ ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე.

8 იანვარს საღამოს ლ. ი. ბრეჟნევი დონეცკის ოლქიდან გაემგზავრა.

ᲩᲔᲚᲘᲐᲑᲘᲜᲡᲙᲘ

7 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (საკდესის კორ.). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ა. ტიხონოვმა პარტიის საოლქო კომიტეტში დაათვალიერეს იმ სახალხო მოხმარების საქონლის ნიმუშები, რომელსაც ოლქის საწარმოები უშვებენ და უნდა გამოუშვან.

ა. ნ. კოსიგინი და ნ. ა. ტიხონოვი სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივან ნ. ნ. როდიონოვთან და საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ი. პ. გაიორონცევთან ერთად იყვნენ მილსაგალინავ ქარხანაში. ქარხნის დირექტორი ი. პ. ოსადჩი ეესაუბრა მათ საწარმოს საქმიანობაზე. ა. ნ. კოსიგინი გაეცნო ქარხნის ზოგიერთი საამქროს მუშაობას, იყო მეხუთე მილსაგალინავი საამქროს სასადილოში. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ეესაუბრა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, საამქროთა ხელმძღვანელებს.

ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝ�გᲝᲠᲡᲙᲘ

7 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (საკდესის კორ.). დღეს მაგნიტოგორსკში ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, რომლებსაც ახლავან სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ნ. როდიონოვი, ჩელიაბინსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ი. პ. გაიორონცევი, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ფ. ბორისოვი. ისინი იყვნენ მეტალურგიულ კომბინატში, სადაც გაეცნენ კოქსქიმიური, სპრძმედი, მარტენის, ფურცელსაგლინავი საამქროების მუშაობას, დათვალიერეს № 3 ბლუმინგი.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ეესაუბრა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, საამქროთა ხელმძღვანელებს.

მეტალურგიული კომბინატის საამქროთა მუშაობის გაცნობის შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა მოაწყო თათბირი საწარმ

ვაკანტური ცხოვრება

დავეხმაროთ, ვასწავლოთ

პარტიის რაიკომი და ადგილობრივი საბჭოები

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXIII ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოების, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მუშაობას, განსაზღვრა მათი ამოცანები სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

პარტიის ლენინუთის რაიკომი ყოველთვის სერიოზულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს საბჭოების მოღვაწეობის გაუმჯობესებას, მათი მუშაობის მეთოდების სრულყოფას, მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში.

როგორც ცნობილია, ყოველი საქმის წარმატების ბედს წყვეტენ ადამიანები, კადრები. ამიტომ პარტიის რაიკომი თავის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობად თვლის განამტკიცოს საბჭოები საუკეთესო კადრებით, კარგი, ავტორიტეტული ორგანიზატორებით, გაუმჯობესოს საბჭოთა ორგანოების პარტიული ჯგუფების მოღვაწეობა, დაეხმაროს პირველადს პარტორგანიზაციებს აღზარდონ საბჭოთა მუშაკები შინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელი კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა. თუ ადრე სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებად მუშაობდნენ მხოლოდ საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე პირები, ახლა 15 თავმჯდომარიდან 4-ს უმაღლესი განათლება აქვს, ორს — დაუმთავრებელი უმაღლესი, ხოლო 9 კაცს — საშუალო განათლება. გაუმჯობესდა აღმასკომის მდივნების შემადგენლობაც.

ხელმძღვანელი საბჭოთა კადრების შემადგენლობის გაუმჯობესებამ, მათი მუშაობისადმი პარტიული ზრუნვის გაძლიერებამ, საბჭოების მრავალმხრივ მოღვაწეობაში მშრომელთა აქტივობის ამაღლებამ უზრუნველყო მათი, როგორც ხელისუფლების ორგანოების, როლისა და ავტორიტეტის ზრდა. ახლა საბჭოები წარმატებით წყვეტენ სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, ქალაქისა და სოფლების კეთილმოწყობის საკითხებს. ამას საბჭოები აღწევენ თავიანთი ორგანიზატორული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფით, რაშიც აქტიურად მონაწილეობენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები, მშრომელთა ფართო აქტივი.

რაიონულო, საქალაქო და სასოფლო საბჭოების დეპუტატებად არჩეულია 599 კაცი, რომელთა შორის 340 კომუნისტი და 28 კომკავშირელია. საბჭოების მუდმივ კომისიებში დეპუტატთა გარდა გაერთიანებულია 802 აქტივისტი. ეს დიდი ძალაა და მას სწორი ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია წარმატებით გადაწყვიტოს საბჭოების წინაშე მდგომი ყველა ამოცანა.

პარტიის XXIII ყრილობამ მოითხოვა ავამაღლოთ საბჭოების სესიების როლი, გავააქტიუროთ საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობა, უზრუნველყოთ დეპუტატთა რეგულარული ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე.

ხელმძღვანელობდა რა ყრილობის ამ მითითებით, პარტიის რაიკომი ეხმარებოდა საბჭოების აღმასკომებს სესიების მომზადებასა და მაღალ დონეზე მოწყობაში, მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხების გადაჭრაში.

რაისაბჭოს, საქალაქო და სასოფლო საბჭოების სესიები ეწყობა კონსტიტუციით დადგენილ ვადებში. სესიებზე განიხილავენ ცხოვრებით ნაკარნახევ აქტუალურ საკითხებს. სესიებზე განხილული საკითხების მომზადებაში მონაწილეობენ არა მარტო აღმასკომების მუშაკები, დეპუტატები და მუდმივი კომისიების წევრები, არამედ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისტები. სესიების მომზადების ასეთი წესი უზრუნველყოფს განსახილველი საკითხების ღრმად შესწავლას, სწორ და ღრმად გააზრებულ გადაწყვეტილებათა მიღებას, მათი განხორციელებისათვის ფართო მასების დარაზმვას.

გასული წლის აპრილში რაისაბჭოს სესიაზე განხილულ იქნა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. როგორც სესიაზე აღინიშნა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს. ბევრ სოფელში არ მუშაობდა აბანო, საყოფაცხოვრებო მომსახურების წამოწყებათა ქსელი ვერ უპასუხებდა მოსახლეობას გაზრდილ მოთხოვნილებებს, ბევრი ობიექტი მოთავსებული იყო შეუფერებელ ბინებში და სხვ.

სესიამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლებას, ობიექტების ქსელის გაფართოებას, ახალშენებლობათა განხორციელებას.

რაისაბჭოს სესიის ეს გადაწყვეტილებანი განხილულ იქნა სასოფლო საბჭოების სესიებზე, რომლებმაც თავიანთი მხრივ დასახეს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი და პრაქტიკულად შეუდგნენ მათს განხორციელებას.

სესიის გადაწყვეტილებათა შემდეგ რაიონის 20 კოლმეურნეობაში დაიწყო აბანოების მშენებლობა. წელს ახალი აბანოები აშენდება ხუთ კოლმეურნეობაში. რაიონის ცენტრში მიმდინარეობს აბანო-სამრეცხაოს მშენებლობა, რაზეც 67 ათასი მანეთი დაიხარჯება. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო 13 სოფელში აწარმოებს საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონების მშენებლობას. რაიონის ცენტრში გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების მიმღები პუნქტი, რომელიც იღებს და ასრულებს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კერვის ინდივიდუალურ დაკვეთებს, აწარმოებს რადიომიმღებების, საათების შეკეთებას, გიიწსნა აგრეთვე ტელევიზორების შემკეთებელი სახელოსნო. ხალხის ყოფაცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრდა გაზი. დღეისათვის გაზით სარგებლობს 2.000-ზე მეტი ოჯახი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ლენინის კოლმეურნეობა, სადაც თითქმის ყველა ოჯახს აქვს გაზქურა.

ᲕᲐᲠᲢᲘᲘᲡ რაიკომი თვალყურს ადევნებს იმას, თუ როგორ მუშაობენ სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. ამ 6-7 თვის წინათ ბიურომ განიხილა სოფლის კეთილმოწყობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი, რომლის მომზადებასა და განხილვაში მონაწილეობდნენ რაისაბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე რაისაბჭოს დეპუტატები — მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები ნ. ლენინი და ა. შორჩილაძე.

პარტიის რაიკომი გადაწყვეტილებებს იღებს მთელ რიგ სამეურნეო საკითხებზე. ამას ისეთ შემთხვევებში აკეთებს, როცა საქმე ეხება განსაკუთრებულ ვითარებას, რომელზეც საჭიროა ღრმა, პრინციპული დასკვნების გაკეთება. შარშან ასეთ საკითხად მივიჩნიეთ, მაგალითად, კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განხორციელების მდგომარეობა, რაზეც ორჯერ ვიმსჯელეთ რაიკომის ბიუროს სხდომებზე. ამასთან ბიურომ საჭიროდ მიიჩნია ამ საკითხის განხილვა რაისაბჭოს სესიაზეც. საკითხის მომზადებაში მონაწილეობდნენ რაისაბჭოსა და სასოფლო საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების წევრები, რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივი. ყოველმხრივ მომზადებული საკითხი 30 აგვისტოს განხილა რაისაბჭოს სესიამ, რომელმაც უყურადღება გაამახვილა ამ საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე (ეს განსაკუთრებით ეხებოდა მიწათსარგებლობას). სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განხილულ იქნა კოლმეურნეობების წევრთა კრებებზე. ამ ღონისძიებათა შედეგად ბრტელის წესდების განხორციელებაში არსებული ნაკლოვანებები სწორდება.

პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი სერიოზულ ყურადღებას უთმობენ საბჭოების მოღვაწეობაში ახალი ფორმების წვერები, არამედ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისტები. სესიების მომზადების ასეთი წესი უზრუნველყოფს განსახილველი საკითხების ღრმად შესწავლას, სწორ და ღრმად გააზრებულ გადაწყვეტილებათა მიღებას, მათი განხორციელებისათვის ფართო მასების დარაზმვას.

გასული წლის აპრილში რაისაბჭოს სესიაზე განხილულ იქნა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. როგორც სესიაზე აღინიშნა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს. ბევრ სოფელში არ მუშაობდა აბანო, საყოფაცხოვრებო მომსახურების წამოწყებათა ქსელი ვერ უპასუხებდა მოსახლეობას გაზრდილ მოთხოვნილებებს, ბევრი ობიექტი მოთავსებული იყო შეუფერებელ ბინებში და სხვ.

სესიამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლებას, ობიექტების ქსელის გაფართოებას, ახალშენებლობათა განხორციელებას.

რაისაბჭოს სესიის ეს გადაწყვეტილებანი განხილულ იქნა სასოფლო საბჭოების სესიებზე, რომლებმაც თავიანთი მხრივ დასახეს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი და პრაქტიკულად შეუდგნენ მათს განხორციელებას.

სესიის გადაწყვეტილებათა შემდეგ რაიონის 20 კოლმეურნეობაში დაიწყო აბანოების მშენებლობა. წელს ახალი აბანოები აშენდება ხუთ კოლმეურნეობაში. რაიონის ცენტრში მიმდინარეობს აბანო-სამრეცხაოს მშენებლობა, რაზეც 67 ათასი მანეთი დაიხარჯება. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო 13 სოფელში აწარმოებს საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონების მშენებლობას. რაიონის ცენტრში გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების მიმღები პუნქტი, რომელიც იღებს და ასრულებს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კერვის ინდივიდუალურ დაკვეთებს, აწარმოებს რადიომიმღებების, საათების შეკეთებას, გიიწსნა აგრეთვე ტელევიზორების შემკეთებელი სახელოსნო. ხალხის ყოფაცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრდა გაზი. დღეისათვის გაზით სარგებლობს 2.000-ზე მეტი ოჯახი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ლენინის კოლმეურნეობა, სადაც თითქმის ყველა ოჯახს აქვს გაზქურა.

ᲕᲐᲠᲢᲘᲘᲡ რაიკომი თვალყურს ადევნებს იმას, თუ როგორ მუშაობენ სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. ამ 6-7 თვის წინათ ბიურომ განიხილა ნიგოითის სასოფლო საბჭოს მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის საკითხი. აღინიშნა, რომ ჩოლობარგისა და ნიგოითის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები საჭირო ყურადღებას არ აქცევდნენ აბანოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ობიექტების მუშაობას. ბიურომ დაავალა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ამ საქმის სასწრაფოდ მოწესრიგება. სოფლად არსებული საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა ობიექტი თავმოყრილ იქნა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში, გაუმჯობესდა მათი მომარაგება დამხმარე მასალებით. რაიკომის ბიუროს მიერ მიღებული ზომების შედეგად ახლა ნიგოითის სასოფლო საბჭოში არსებული საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები დამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

სესიების მომზადებისა და გამართვის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების სწორად მოწყობის კარგ მაგალითს იძლევა აკეთის სასოფლო საბჭო, რომელსაც 15 წელზე მეტია სათავეში უდგას გამოცდილი მუშაკი პ. სალუქვაძე. რაიონის ეს ერთ-ერთი დიდი სასოფლო საბჭო კოლმეურნეობების გამგეობებთან ერთად ახორციელებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს სოფლის კულტურის ამაღლების საქმეში. უნარიანად წარმართავს სამეურნეო, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას, მუდმივად ზრუნავს სოფლის კეთილმოწყობის გაუმჯობესებისათვის.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ წლებში აკეთში აიგო საშუალო და 8-წლიანი სკოლების კაპიტალური შენობები, ქვემო აკეთსა და ბანჯათს ამშენებს კლუბ-კინოთეატრების შენობები. ზემო აკეთში მიმდინარეობს კლუბ-კინოთეატრის მშენებლობა. კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის მონაწილეობით აშენდა 5 კაპიტალური ხიდი და ბოგირი, შეკეთდა სასოფლო გზები და მათ გასწვრივ დაირგო 15 ათასი ძირი მარადმწვანე და ნაყოფიანმომცემი მცენარე. სოფელი უზრუნველყოფილია სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელით.

მაგრამ აკეთის სასოფლო საბჭო მიღწეულს როდი სჯერდება. იგი სისტემატურად განიხილავს სოფლის შემდგომი კეთილმოწყობის საკითხებს. გასული წლის სექტემბერში სასოფლო საბჭოს სესიამ განიხილა სოფლის კეთილმოწყობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი, რომლის მომზადებასა და განხილვაში მონაწილეობდნენ რაისაბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე რაისაბჭოს დეპუტატები — მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები ნ. ლენინი და ა. შორჩილაძე.

პარტიის რაიკომი გადაწყვეტილებებს იღებს მთელ რიგ სამეურნეო საკითხებზე. ამას ისეთ შემთხვევებში აკეთებს, როცა საქმე ეხება განსაკუთრებულ ვითარებას, რომელზეც საჭიროა ღრმა, პრინციპული დასკვნების გაკეთება. შარშან ასეთ საკითხად მივიჩნიეთ, მაგალითად, კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განხორციელების მდგომარეობა, რაზეც ორჯერ ვიმსჯელეთ რაიკომის ბიუროს სხდომებზე. ამასთან ბიურომ საჭიროდ მიიჩნია ამ საკითხის განხილვა რაისაბჭოს სესიაზეც. საკითხის მომზადებაში მონაწილეობდნენ რაისაბჭოსა და სასოფლო საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების წევრები, რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივი. ყოველმხრივ მომზადებული საკითხი 30 აგვისტოს განიხილა რაისაბჭოს სესიამ, რომელმაც უყურადღება გაამახვილა ამ საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე (ეს განსაკუთრებით ეხებოდა მიწათსარგებლობას). სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განხილულ იქნა კოლმეურნეობების წევრთა კრებებზე. ამ ღონისძიებათა შედეგად ბრტელის წესდების განხორციელებაში არსებული ნაკლოვანებები სწორდება.

პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი სერიოზულ ყურადღებას უთმობენ საბჭოების მოღვაწეობაში ახალი ფორმების ნერგვას. ამ საქმეში ბევრი ეფექტიანი ფორმა, მეთოდი, ხერხი ... [illegible] ... ᲩᲕᲔᲜ გადაწყვიტეთ საბჭოების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირ-სემინარები ამიერიდან ყოველ კვარტალში ერთხელ მოვაწყოთ. როგორც ამ თათბირ-სემინარებზე საკითხების განხილვისას, ისე პრაქტიკულ მუშაობაში წამოიჭრა ბევრი საკითხი, რომელთა გადაჭრა კიდევ უფრო სრულყოფს ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს.

ამ ბოლო დროს პრაქტიკაში დამკვიდრდა, რომ რაიონული საბჭოების სესიების მუშაობაში მონაწილეობენ რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელი მუშაკები. სესიების მუშაობაში მათი მონაწილეობა უზრუნველყოფს განსახილველ საკითხებზე სწორ და მოფიქრებულ გადაწყვეტილებათა მიღებას და, რაც მთავარია, შესაბამისი ზემდგომი ორგანოების მიერ რაიონის საჭიროებათა უკეთ დაკმაყოფილებას. საჭიროა განმტკიცდეს ეს პრაქტიკა და, როგორც წესი, დამკვიდრდეს, რომ საბინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები უფრო მეტად მონაწილეობდნენ ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში, უკეთ ეხმაურებოდნენ მათს საჭიროებებს.

მოკმედი დებულებით რაისაბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება არ აქვთ მიიღონ დამავალდებულებელი გადაწყვეტილებანი. საჭიროდ მიგვაჩნია კომისიებს უფლება მიეცეთ გამოიტანონ გადაწყვეტილებანი მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე და დაუგზავნონ ისინი შესასრულებლად თავიანთ დაქვემდებარებულ ორგანოებს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმების შემდეგ.

ადრე სასოფლო რაიონების საბჭოების აღმასკომებთან იყო სორგანიზაციო განყოფილებები, ისინი ხელს უწყობდნენ საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერებას, შესრულების შემოწმების სწორ ორგანიზაციას, საბჭოების, როგორც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების როლის ამაღლებას. ამიტომ კარგი იქნება, თუ ასეთი განყოფილებები კვლავ შეიქმნება.

XXIII ყრილობამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, იმას, რომ პარტიული ორგანები მოწოდებული არიან მეტი იზრუნონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლის ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ ისინი მთელი მოცულობით იყენებდნენ თავიანთ რწმუნებებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში. რაიკომს მუდამ ახსოვს და თავის ყოველდღიურ მუშაობაში ხელმძღვანელობს პარტიის ამ მითითებებით.

დ. საბაშვილი,
საქართველოს კპ ლენინუთის რაიკომის პირველი მდივანი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ

ᲣᲕᲐᲠᲔᲚᲘ. („კომ.“ კორ.). აქ განთავსებულ შეკრებაზე, რომელიც „პარტორგანიზაციის მდივნის დღეს“ მიეძღვნა, გაანალიზა საქართველოს კომპარტიის უკარლეს რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ხაუტაშვილმა.

შეკრებაზე საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ რეფერენტმა, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა შ. ნოხაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა თანამედროვე ეტაპზე“. მეტად საინტერესო იყო აგრეთვე კინორეჟისორ ირ. კანდელაკის საუბარი ფერადფანელი ქართველების ყოფაცხოვრებაზე.

მოხსენებათა შემდეგ გამართულ აზრთა გაზიარებაში მონაწილეობა მიიღეს პარტორგანიზაციების მდივნებმა ფ. ყურულმა, დ. იორდანიშვილმა, ა. უსტიანშვილმა და სხვებმა.

შეკრების მონაწილეებმა ნახეს ფერადი მხატვრული ფილმი „ფერადფანელ ქართველები“.

თათბირ-სემინარი

ᲐᲡᲐᲠᲘᲜᲫᲘ. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის სხდომათა დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირ-სემინარი.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები: „საკკ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებები პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების შესახებ“, „პარტიული ორგანიზაციების ამოცანები კომუნისტთა პოლიტიკურ სწავლებასა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დარგში“, „პარტიული ორგანიზაციების ამოცანები პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის საქმეში“, „პარტიული გადაწყვეტილების შესრულების შემოწმებისა და კონტროლის განხორციელების ფორმები და მეთოდები“, „რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“, „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“ და სხვ.

სულ წაკითხულ იქნა 10 მოხსენება.

მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს კპ ასპინძის რაიკომის პირველი მდივანი ლ. ისაკაძე, რაიკომის განყოფილებათა გამგეები ვ. გიორგაძე, ხ. მამუკაშვილი, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ნ. მელიქიძე, რაიგაზეთ „ასპინძის“ რედაქტორი ვ. ალელიშვილი და სხვები.

მოხსენებათა შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა შინაპარტიული მუშაობის ბევრ საინტერესო საკითხზე.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ლ. მ. დავითაძის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პატიოსან და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აქვრ. ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლევან მიხეილის-ძე დავითაძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ᲥᲝᲩᲝᲕᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲕᲐᲫᲔ

თბილისი,
1967 წლის 9 იანვარი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. უ. ფ. ცაკვიტინიძის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მშრომელთა დეპუტატებთა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. უჩა ფოკას-ძე ცაკვიტინიძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ᲥᲝᲩᲝᲕᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲕᲐᲫᲔ

თბილისი,
1967 წლის 9 იანვარი.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲨᲣᲥᲘ ᲪᲧᲘᲑᲣᲚᲨᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲪᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡᲐ და განვითარების თავისებური, საინტერესო ისტორია აქვს. „ძველი და ახალი ტყიბული!“ — ამ გამოთქმას ხშირად გაიგონებთ მეშახტეებისაგან. „ძველი“ და „ახალი“. აქ ეს ეპოქალური მნიშვნელობით იხმარება. ახალი ეპოქის, რევოლუციის შემდეგდროინდელი ტყიბული ისე განირჩევა ძველისაგან, როგორც თეთრი შავისაგან, როგორც დღე ღამისაგან.

საბადოს სამრეწველო დამუშავება გასულ საუკუნეში დაიწყო. ნიაღისეულის ფენის სიმძლავრემ, სათბობის მაღალმა კალორიულობამ თავიდანვე მიიპყრო სამთო სპეციალისტებისა და ცნობილ მეცნიერთა ყურადღება. ტყიბულის ნახშირით დაინტერესებული გამოჩენილი რუსი მეცნიერი დიმიტრი ივანეს-ძე მენდელეევი. იგი წერს: „განსაკუთრებით დიდ იმედებს იძლევა ქვანახშირის ამოღების განვითარება ქუთაისის მახლობლად, მით უმეტეს, რომ აქ, ტყიბულში, ქვანახშირის ფენის სიმძლავრე 7 საჟენს აღწევს. უკვე გაყვანილია რკინიგზა. აქ უბადლო პირობებია, ქვანახშირის ფენა მეტად მძლავრია, გამოდის მიწის ზედაპირზე ფენის დახრილობა უმნიშვნელოა, ახლოს არის ზღვა“.

მეფის სატრაპებმა, რომელთაც იოლი გამდიდრების წყურვილი ამოქმედებდათ, მგლური თვალები მიაპყრეს ქართულ საუნჯეს. ისინი დამუშავების ველური წესებით იღებდნენ ქვანახშირს, ხსნიდნენ ახალ შახტებსა და კარიერებს. ჯურღმულებში არაადამიანურ შრომას ეწეოდნენ ქართველი მეშახტეები. ისინი ალიონიდან დაღამებამდე ანგრევდნენ ნახშირის ფენებს, ცხოვრობდნენ წნელით მოწნულ ფაცხებში, ეძინათ ძონძებში.

არის უამრავი სხვა ცნობებიც ტყიბულელ მეშახტეთა რევოლუციამდელი ცხოვრების შესახებ. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში „საბადო უნახავს ცნობილ ქართველ მესამოციანელს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს. „იფერიაში“ გამოქვეყნებულ შთაბეჭდილებებში იგი წერს: „მუშებისათვის სადგომი ბინა არ არის რიგიანად მოწყობილი. აბა შუხედეთ, რას ჰქვია ახლანდელი მუშების სადგომი ბინა. იმ ქოხებში და ფაცხებში ცხოვრება არა თუ ადამიანს, დათვსაც კი გაუჭირდებაო“. ნიკო ნიკოლაძე მიუთითებს, მუშებისათვის კარგად მოწყობილი ბინები უნდა აიგოს, მათი შრომა დიროსულად უნდა დაფასდეს, აგრეთვე მათი შვილებისათვის მადანში სკოლა უნდა იქნას აშენებულიო.

გადიოდა წლები. ნიკო ნიკოლაძის სანუკვარი ოცნება ოცნებად რჩებოდა. მუშათა პირობების გაუმჯობესებაზე არავინ ზრუნავდა. ამიტომ იყო, რომ ტყიბულელ მეშახტეებს არაერთხელ აუმაღლებიათ ხმა ძველი წყობილების წინააღმდეგ, აღმდგარან თავიანთი უფლებების დასაცავად. და ეს ბრძოლა გრძელდებოდა საქართველოში ოქტომბრის შუქის შემოწვეამდე.

და ეს ნანატრი დღეც დადგა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საბადომ მოლიანად შეიცვალა სახე, მხრები გაშალა, ფეხი გაიდგა. მდინარე ტყიბულას ორივე სანაპიროზე, სადაც ურემსაც კი უჭირდა გაცლა, გაშენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, გაყვანილ იქნა კეთილმოწყობილი გზები, მოეწყო მოედნები და სკვერები. ახლა ქალაქის ცენტრს ამშვენებს ფართო მოედანი და ხელოვნური ტბა, სადაც ლურჯ, მოლაკვივე ტალღებს სერავენ თეთრი და შავი გედები. მთელი ქალაქი ყვავილებში და მწვანეშია ჩაფლული. ნიკო ნიკოლაძე ოცნებობდა მეშასტეთა შვილებისათვის გაეხსნათ ერთი სკოლა. ახლა კი აქ 7 სამუალო, მუშა-ახალგაზრდობის 4 საღამოს საშუალო და მუსიკალური სკოლაა. მეშახტის ოჯახებს ... [illegible] ... ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲔᲤᲔᲠᲜᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲝᲛᲪᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა

პარიზი, 9 იანვარი. (საკდესის კორ.). XVIII ყრილობა დასრულ საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა ეკა ...ულემ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, ...ყრილობამ ცხადყო პარტიის რიგებს ...ერთ ერთობა მარქსიზმ-ლენინიზმის ...ციპების საფუძველზე. ყრილობამ ერთ...ოვნად მოიწონა ცენტრალური კომიტე...ს მოსსენება, რომელიც პარტიის გენერა...ერმა მდივანმა ვალდეკ როშემ გააკეთა, და ...ალისტური, რომ პარტია სრულ მზარდა...ას უწევს მუშებისა და დემოკრატიული ...ების კავშირის პოლიტიკას.

...ს იყო ყრილობა დიდი პარტიისა, რო...ბაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმა...ლობა ერთობისათვის, მუშებისა და დემო...ტიული ძალების კავშირისათვის, რათა ...ომ ბოლოს პირადი სულისუფლების რე...ბ, ეს იყო იმ პარტიის ყრილობა, რომე...ს შეძლებს ყოველგვარ ვითარებაში წმი...ფა უსახურულოს ამოცანები, რომლებიც მის ...ეშეგ დგას დემოკრატიისათვის, მშვიდო...ბისათვის, სოციალიზმისათვის დიად ბრძო...ლაში.

...ემდგომ დიუკლომ აღნიშნა, რომ ყრი...ლობის დელეგატებმა ერთსულოვნად დაგვეს ...ეთის კომუნისტური პარტიის ახლანდელ...ი ხელმძღვანელები, რომლებიც უარს ამ...ბობენ იმაზე, რომ სოციალისტურმა ქვეყნე...ბმა გააერთიანონ მეცადინეობა, რათა დაეხმა...რონ ვიეტნამელი ხალხს ბრძოლაში. დელეგა...ტებმა საჭიროდ მიიჩნიეს მოეწყოს კომუ...ნისტური და მუშათა პარტიების საერთაშო...რისო თათბირი.

...ოდიი პოლიტიკური ბრძოლები მოგველას ...ჩვენი XVIII ყრილობის შედეგები დაგ...ეხმარება ჩვენთან ამ ბრძოლებში კარგ პი...ირებში, თქვა დასასრულ დიუკლომ. ყრი...ლობის შედეგები საშუალებას მოგვცემს მო...ვოოთ ახალი გამარჯვებანი. რომლებიც ...ფრანგეთის გამარჯვებანი იქნება.

...თავისი სიტყვის დასასრულს ეკა დიუკ...ომ გამარჯვება უსურვა საფრანგეთის კომუ...ისტურ პარტიას, საერთაშორისო კომუნის...ტებს და მუშათა მოძრაობის საბრძოლო ...ერთობასა და კომუნიზმს.

პარიზი, 9 იანვარი. (საკდესი). გუშინ ...ბობა დაამთავრა საფრანგეთის კომუნის...ტური პარტიის XVIII ყრილობამ.

...კომისიის დასკვნები ყრილობის პოლიტი...ური რეზოლუციის მომზადების შესახებ წა...ოადგინა საფრანგეთის კომუნისტური პარ...ტიის პოლიტბიუროს წევრმა ეტიენ ფაჟონმა. ...ან აღნიშნა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მომზადებული პოლიტიკური რეზოლუციის პროექტი ფართოდ განხილია ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ. პარტიულმა ორგანიზაციებმა მოიწონეს პარტიის პოლიტიკა. კომუნისტებმა ათასობით შესწორება შეიტანეს პროექტში, მაგრამ მათ შორის არც ერთი არ ყოფილა პარტიის ამ ხაზის წინააღმდეგ მიმართული.

ე. ფაჟონის გამოსვლის შემდეგ ყრილობის დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს ... ...ლ. ...ოდ ...ოდ ...ოდ

ეს საინტერესო ღონისძიებაა •

ესტაფეტა თერჯოლელებმა მიიღეს

ნჩავა ზის — შუახნის კაცი კეთილი ღიმილით.

— მართლაც ბევრ საინტერესოს მოიამბენს კაცი, — ამბობს ვ. ლანჩავა, — რამდენჯერ ვყოფილვარ თბილისში, მოვლია მის ქუჩებში, მაგრამ, მართალი გითხრათ, სპეციალურად არ მივსულვარ 300 არაგველთა ობელისკთან, არ დამითვალიერებია ახალი უბნები.

საუბარს შეუერთდა **დავით კანდელაკი**, გოდოგნის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.

— რატომღაც 1942 წელი მახსენდება, ფრონტზე გამგზავრების წინ თბილისში ჩამოვედი. სულ სხვანაირია ახლა თბილისი. არასოდეს არ შემახედავს მისთვის ასეთი თვალით.

აქ, ავტობუსში გავიცანით ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობის — ეწერის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვაჟა ზარნაძე**. ამავე კოლმეურნეობის წევრები **ვანო აბულაძე, კონსტანტინე ბერუაშვილი, გიორგი ბიწაძე, გიორგი ზარნაძე, ბიძინა ხვარეშია**, სოფელ ახალი თერჯოლის კოლმეურნეობის მექანიზატორები **ზურაბ გურაბანიძე** და **ალექსანდრე გურული**, ჭოკნარის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი **რუსუდან ბაკურაძე**, ჭოგნარის საშუალო სკოლის საქმეთა მმართველი **თამარ ალფაიძე**, დაწყებითი კლასების მასწავლებელი **მარგალიტა ალფაიძე**...

ბევრი რამ ახალი შეიტყეს მათ. შეიტყეს მაგალითად, რომ ახლა თბილისში 35 დიდი და პატარა მოედანია, რომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 20 ათასი სტუდენტი სწავლობს, ათასზე მეტი სამრეწველო საწარმოა, რომ ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელო ქარხანა ბევრად მეტ ელმავალს უშვებს, ვიდრე საფრანგეთი, მოსახლეობას ენსახურება 30 საავადმყოფო და სამასამდე სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, რომ დედაქალაქში 200 ათასი კაცი მისდევს სპორტის ამა თუ იმ სახეობას ე. ი. თითქმის ყოველი მეოთხე და სხვ.

— წარმატებით ვიზრუნეთ 1966 წელს, — ამბობს ოქროს ვარსკვლავის კავალერი ვ. ლანჩავა, — მართალია, ცუდი ამინდები იყო, მაგრამ ჩვენმა კოლმეურნეობამ კარგი მაჩვენებლებით დამთავრა სამეურნეო წელი. გადაჭარბებით — 162 პროცენტით შესრულდა სახელმწიფოსთვის ჩაის მწვანე ფოთლის მიყიდვის გეგმა. ყურძნის დამზადების გეგმა შეასრულეთ 145 პროცენტით, ხორცისა — 155 პროცენტით, ძროხისა — 130 პროცენტით, აბრეშუმის პარკისა — 125 პროცენტით. უარი ვთქვით სახელმწიფო კრედიტზე.

— თქვენს ფერმაში როგორ არის საქმე?

— ისევე როგორც მთელ კოლმეურნეობაში. ჩამორჩენილი უბანი არა გვაქვს. ფერმა მთლად მექანიზებულია. ერთ საფურაქე ძროხაზე 1.900 ლიტრი რძე მივიღეთ ნაცვლად 1.600-ისა. ლიტრი რძე ახლა 12 კაპიკად გვიჯდება ნაცვლად 18-20 კაპიკისა.

საღამოს თერჯოლელებმა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „ალბალების ხმალი“ ნახეს. თეატრში გულთბილი შეხვედრა გაემართა. რაიონის წარმომადგენლებმა ყვავილები მიართვეს მსახიობებს.

უკვე ღამე იყო, როცა თერჯოლის მშრომელთა წარმომადგენლები დედაქალაქს ემშვიდობებოდნენ. მრავალი მეგობარი და ახლად გაცნობილი მოვიდა მათ გასაცილებლად, გზის დასალოცად.

— როგორ მოგეწონათ დღევანდელი დღე? — ვეკითხები ვ. ლანჩავას.

— ძალიან, ძალიან ემაყოფილი ვართ ყველანი. შესანიშნავი და მასასლმებელი თაოსნობაა. შთაბეჭდილება ბევრი გვაქვს. დიდი მადლობა ყველას, ვინც ეს მოგზაურობა ასეთი სასიამოვნო გახადა ჩვენთვის.

ემშვიდობებოდა თერჯოლის რაიონის ოთხასორმოცდაათი მშრომელი თავიდ დედაქალაქს. მათ დიდხანს ემახსოვრებათ თბილისში გატარებული ეს ერთი, მაგრამ შთამბეჭდავი დღე.

ზესტაფონელებისაგან მიიღეს თერჯოლელებმა ესტაფეტა. ახლა კი იგი ჭიათურელებს გადაულიცის.

ო. ლორთქიფანიძე.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ტურისტულ-თეატრალურმა მატარებელმა „რუსთაველმა“ თერჯოლის რაიონის მშრომელები ჩამოიყვანა თბილისში. ქვემოთ — ტურისტები მეტების ციხის გალავნიდან ათვალიერებენ დედაქალაქს.

ფოტო ს. კილაძისა.

ი პ ო ლ ი ტ ე ვ ა რ თ ა გ ა ვ ა



95 წლის ასაკში გარდაცვალა ცნობილი მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ი ვ ო ლ ი ტ ე პ ე ტ რ ე ს-ძე ვ ა რ თ ა გ ა ვ ა.

ი ვ. ვართაგავა დაიბადა 1872 წლის 30 იანვარს სოფ. ხეთაში (ხობის რაიონი). ხეთის სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სენაკის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც 1888 წელს დაამთავრა. იმავე წელს ი. ვართაგავა ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში; სემინარიის სრული კურსის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1895 წელს შევიდა ყაზანის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1899 წელს დამთავრა.

1899-1907 წლებში ი. ვართაგავა მუშაობდა ქ. სიმფეროპოლის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორად, 1907-1918 წლებში — თბილისის სასულიერო სემინარიაში რუსული ლიტერატურისა და სიტყვიერების მასწავლებლად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა სკოლის სასწავლო განყოფილების გამგედ, დირექტორად. 1937 წლიდან კი დაინიშნა გორისა და ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში ლექტორად, სადაც დაჰყო 1958 წლამდე. 86 წლის ასაკში გავიდა პენსიაზე.

ი. ვართაგავა 60 წელს ემსახურა ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. დიდია მისი დამსახურება როგორც ლვაწლმოსილი პედაგოგისა.

სამწერლო ასპარეზზე ი. ვართაგავა გამოვიდა 1894 წელს; მისი პირველი წერილი ჟურნალ „კვალში“ დაბეჭდა გიორგი წერეთელმა. ამის შემდეგ კალამი ხელიდან არ გაუშვია. იგი, ჯერ კიდევ ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტი, თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიაში“, ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ვაჟა-ფშაველასთან.

ი. ვართაგავა წლების მანძილზე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების — „ალფეტარის“ — ერთ-ერთი ფუძემდებელი, ოდესაც ალეთ საქართველოს, მასწავლებელთა კავშირის კომისიის თავმჯდომარე, აქტიურ მონაწილეობას ი ღ ებ დ ა მწერალთა კავშირის საქმიანობაში.

გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა აქვს ი. ვართაგავას წერილს „სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი“, რომელიც გახდა საბაბი ვაჟა-ფშაველას ცნობილი სტატიისა „კრიტიკა ბ. ი. ვართაგავასი“.

ი. ვართაგავას კალამს ეკუთვნის წერილები „შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო“, „სოფელი და სოფლელები სოფრომ მგალობლიშვილის შემოქმედებაში“, „პოეტი მოქალაქე, გრიშა აბაშიძის პოეზია“, „აკაკი, როგორც სატირიკოსი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის, რაფიელ ერისთავის, მიხეილ ჯავახიშვილის, ირეოდიონ ევდოშვილის, ია ეკალაძის, დუტუ მეგრელის, იოსებ გრიშაშვილის, ვასო ბარნოვის და სხვათა შემოქმედების განხილვა.

ასევე მნიშვნელოვანია მისი მონოგრაფიები :„მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები“, „ილია ჭავჭავაძე — თეატრალური კრიტიკოსი“, „შალვა დადიანის ცხოვრება და შემოქმედება“. „ქართველ მწერალთა სილუეტები“, კრიტიკული წერილების პირველი ტომი.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ი. ვართაგავას მონოგრაფია „ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება“.

ი. ვართაგავა არც თანამედროვე მწერალთა წინაშე დარჩენილა ვალში. არაერთი წერილი უძღვნა თანამედროვე ქართველ მწერალთა შემოქმედებას.

ი. ვართაგავას ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ქართველი მკითხველის გულში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

საქართველოს სსრ უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტრო.

მ ო ს კ ო ვ შ ი „ვოლგისათვის“

7 იანვრისათვის უკვე წარდგენილი იყო სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი საზოგადოების ავტოლატარიის დასალოებით 1.400 ბილეთი, რომლებსაც ფასიანი მოგება ხვდათ. მეშხტე ა. ბილეშევი ვოლგისათვის მოსკოვში ჩამოვიდა ლუგანსკის ოლქის ქალაქ ანტრაციტიდან. ამავე მარკის ავტომანქანას მიიღებენ უფროსი საქმელმძღვნე ს. გველაკა და შოფერი რ. ჭაბაშვილი (საქართველო), მშენებელი ნ. ლაზარევი (ჩუვაშეთის ასსრ), შოფერი კ. მერჩიანი (სომხეთი), უფროსი ელექტრიკოსი ი. სტროგი (ლენინგრადის ოლქი), მოსამსახურე ნ. ბელოკოპიტოვა (ტულის ოლქი), კოლმეურნე ა. პეტრენკო (ორენბურგის ოლქი) და სხვები. (საკდესის კორ.).

◆

ს ა ნ დ ა ლ ი

იძლევა სიგნალს

ოდესა, 9 იანვარი. (საკდესი). მალაზიელ მეზღვაურთა ჯგუფის გადარჩენის შესახებ რადიოგრამა გადმოგვცა შავი ზღვის თბომავალის „მარგელანის“ კაპიტნის პირველმა თანაშემწემ მიხეილ გრიშინმა.

ეს მოხდა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში. ვახტის შტურმანმა შეამჩნია პატარა მოდრეიფე სანდალი. იგი იძლეოდა სიგნალ „სოსს“. მოუახლოვდნენ. გამოირკვა, რომ მალაიზიის ალმიანი სანდალი მიემართებოდა სინგაპურში. შტორმის დროს მანქანა მწყობრიდან გამოვიდა. მოგეიანებით გაუთავდათ ყოველგვარი მარაგი. ეკიპაჟის 25 კაცი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა.

საბჭოთა მეზღვაურებმა დახმარება აღმოუჩინეს დაზარალებულთ. „მარგელანმა“ ბუქსირზე აიყვანა სანდალი და სინგაპურში მიიყვანა.

ა ქ ვ ი ნ დ ი

გუშინ დასავლეთ საქართველოში ყველგან, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში ალაგ-ალაგ აღნიშნული იყო წვიმა. დღის მეორე ნახევარში მტკვრის ხეობაში ქიოდა დასავლეთის ძლიერი ქარი. მაქსიმალური ტემპერატურა იყო ბათუმში — 16, თბილისში — 15, სამტრედიასა და გუდაუთაში — 13, გაგრაში, სოხუმში, ფოთსა და ქუთაისში — 11, ბორჯომში — 10, ბაკურიანში — 4 გრადუსი სითბო.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში წვიმა, სუსტი ქარი. ტემპერატურა ბარში 10-14, მთაში 3-8 გრადუსი სითბო. აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში მცირე წვიმა, მტკვრის ხეობაში დასავლეთის ზომიერი ძლიერამდე ქარი. ტემპერატურა ბარში 6-11, მთაში 1-5 გრადუსი სითბო.

თბილისში უნდა მოველოდეთ ცვალებად მოღრუბლულ ამინდს უნალექოდ. დღეუბრავს ჩრდილო-დასავლეთის ზომიერი ქარი. ტემპერატურა — 9-16 გრადუსი სითბო.

ცხოვრების მხატვარი

8 იანვარს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ალექსანდრე მრევლიშვილის ნამუშევართა გამოფენა, რომელიც მიეძღვნა მხატვრის დაბადების 100 წლისთავს. გამოფენის გახსნაზე შეეკრიბნენ მხატვრის შემოქმედების თაყვანისმცემლები — მეცნიერები, მხატვრები, მწერლები, ხელოვნებათმცოდნეები, ახალგაზრდობა, მრევლიშვილის ახლობლები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა შალვა ამირანაშვილმა მოკლედ გააცნო დამსწრე საზოგადოებას გამოჩენილი ქართველი მხატვრის ცხოვრება და შემოქმედება.

— ალექსანდრე მრევლიშვილის შემოქმედების მთავარ თემას, — აღნიშნა მან, — წარმოადგენდა ქართველი გლეხობის ყოფაცხოვრება, რომელიც მან ასახა მთელი მისი სიმკაცრითა და სიღუხჭირით.

ალ. მრევლიშვილი მხატვრობას ჯერ თბილისში სწავლობდა ლონგოს კერძო სტუდიაში, შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვში ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში. აღსანიშნავია, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მისმა სადიპლომო ნამუშევარმა „გოლგოთამ“ ვერცხლის მედალი მიიღო.

მიუხედავად მძიმე ეკონომიური პირობებისა, ა. მრევლიშვილი სამხატვრო განათლების მისაღებად მიემგზავრება პარიზში, სადაც იგი სამ წელს სწავლობდა ჟიულიენის კერძო აკადემიაში.

პარიზში ცხოვრების დროს ის ეცნობოდა მუზეუმებს, დადიოდა გამოფენებზე, არდადეგების პერიოდში მოგზაურობდა გერმანიაში, იტალიაში, სადაც ეცნობოდა სახვითი ხელოვნების კლასიკოსთა ნამუშევრებს. ყოველივე ამან გაღრმავა ქართველი მხატვრის პროფესიული ოსტატობა, გაფართოვა მისი გონებრივი და მხატვრული პორიზონტი...

გამოფენის ორი დარბაზი დაეთმო ალექსანდრე მრევლიშვილის ნამუშევრებს. აქ წარმოდგენილია მუზეუმის ფონდში დაცული მხატვრის ფერწერული ტილოები, გრაფიკული ჩანახატები, სულ 60-ზდე ექსპონატი.

ყურადღებას იქცევს ფანქრით შესრულებული პარიზული ჩანახატები „უმუშევრები“, „მეცენატი“. მხატვრის შავი თალი ნათლად ამჩნევს იმ დამცირებასა და უსამართლობას, რასაც განიცდიდნენ ფრანგი მუშები.

გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის სადიპლომო ნამუშევარი „გოლგოთა“, მისი ცნობილი „კანცელარიის წინ“, „დაბალი ღობე“, ამ სერიის ნამუშევრებს ეკუთვნის „კალოზე“. რაოდენი მწუხარებაა აღბეჭდილი საბრალო გლეხის სახეზე. მას ჯერ ვერ მოუსწრია მოსავლის აღება და უკვე მეკალეები — მეფის მოხელე და მღვდელი დასდგომიან თავს.

ათვალიერებთ გამოფენას და თქვენს თვალწინ ცოცხლდება ქართველი გლეხკაცის ყოფაცხოვრების ამსახველი სურათები. „საფლავის კურთხევა“, „მეთხავთან“, „გლეხის ოჯახი“, „ბეგარა“. უამრავი ჩანახატები — „წინდისმქსოველი ქალი“, „გლეხკაცი“, „მოხუცის პორტრეტი“...

გამოფენაზე მრავლად არის წარმოდგენილი მხატვრის შესანიშნავი პორტრეტები — მოქანდაკე ნიკოლაძის, ა. ჯორჯაძის, მოხუცი ქალის, უცნობი კაცის პორტრეტები.

დამთვალიერებელთა ყურადღებას უთუოდ მიიქცევს პატარა ტილო „გზაჯვარედინზე“, ეს ტიპიური სურათია ძველი ქართული ცხოვრებისა.

ალექსანდრე მრევლიშვილი ბევრს მუშაობდა. აი როგორ იგონებს მშობელს მხატვრის ქალიშვილი, ცნობილი პოეტი მაყვალა მრევლიშვილი თავის ერთ-ერთ ლექსში.

„სულ ზურგით მახსოვს, კედელთან ახლოს
მდგარი მოლბერტთან.
უხმოდ,
მუნჯივით...
ხელში ფუნჯებით
წერდა და წერდა“.

ალექსანდრე მრევლიშვილის ნამუშევრები გაბნეულია ჩვენს მუზეუმებში, კერძო ოჯახებში. კარგი იქნება მათი ერთად შეკრება, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა უფრო ფართოდ გაეცნოს ქართული რეალისტური ხელოვნების ამ თვალსაჩინო მოღვაწის შემოქმედებას.

ლ. ხუბულური.

სურათებზე: ალ. მრევლიშვილის ნამუშევართა რეპროდუქციები. ზემოდან — „დაბალი ღობე“, „სოფლის კანცელარიის წინ“ და „გზაჯვარედინზე“.

მ ო ს ჭ ა დ რ ა კ ე თ ა ძ ნ ე ლ ი ბ რ ძ ო ლ ე ბ ი

XXXIV 1967 Ниво

რატომღაც ითვლება, რომ ორშაბათი ძნელი დღეა, შაბათი კი თითქოს კარგი, რადგან სამუშაო დღე მოკლეა და შეიძლება მალე წახვიდე შინ. მოჭადრაკეთათვის ეს ასე როდია. სწორედ შაბათს განიცადა **გურგენიძემ** ორი დამარცხება. თუმცა ეს ადრევე იყო ნათელი, რადგან ი. ნეიშა და **დ. ბრონშტეინს** დიდი უპირატესობა ჰქონდათ.

მიუხედავად უაღრესად შეუპოვარი წინააღმდეგობისა, **ვ. სმისლოვმა** ვერ მოახერხა ეხსნა ენდშპილი თავისი აკადემიატორის **მ. ტაიმანოვის** წინააღმდეგ. მოჭადრაკე-პიანისტი დაბოლოებაში პირდაპირ „ნოტების მიხედვით“ თამაშობდა და კლასიკური ენდშპილი მოიგო. „ვამაყობ, რომ ასეთი ენდშპილი სწორედ **ვასილ ვასილიჩ-ძეს** მოვუგე, რომელიც საკვეყნოდ განთქმულია თავისი ბრწყინვალე ტექნიკით ენდშპილში“ თქვა **მარკ ტაიმანოვმა**.

თბილისელები ხუმრობენ — „ტურნირი უკვე მეორე წელია მომდინარეობს, **ვ. სმისლოვმა** და **ლ. კოლუბაევსკიმ** კი მხოლოდ ახლა მოიგეს პირველი ბარეები“. მაგრამ დარჩნენ კიდევ **ბ. გურგენიძე, ვ. დოროშკევიჩი, ვ. ლიბერზონი** და **ე. გუფელდი**, რომელთაც ჯერ თითო შაიბაც კი არ შეუგდიათ! დიახ, გოლის გაშვება ბევრად უფრო იოლია, ვიდრე გატანა.

შაბათს კვირა მოჰყვა — მშვენიერი დღე. მოჭადრაკეები კვლავ მუშაობდნენ. სტარტზე მარცხის შემდეგ **ლ. კოლუბაევსკიმ** და **ვ. სმისლოვმა** გადაწყვიტეს, რომ მათი საქმე ისეც საკმაოდ ცუდად არის და ერთმანეთს აღარ გაუფუჭეს ხასიათი — სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე. სამაგიეროდ **დ. ბრონშტეინმა** და **ა. ლეონმა** გადაწყვიტეს, ჩვენი საქმე ისეც კარგად არისო, და ერთმანეთსაც ფრიად ზრდილობიანად მოეკვნენ — სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე. თბილისში მეტად ზრდილობიანი მაყურებლები არიან. სხვა ქალაქში კი **ბრონშტეინსა** და **ლეონს** ასეთი საქციელისათვის ცუდი დღე დაადგებოდათ.

თბილისში ჩამოვიდა ოდესის ოპერისა და ბალეტის ბალერინა **ოქსანა გელერი**. თითქოს თავისი მშვენიერი გამარჯვება **ვ. დოროშკევიჩთან** ეფიმ **გელერმა** თავის მეუღლეს მიუძღვნა.

უცნაურია ჩემპიონატის სტარტი — პირველ ადგილზე ოსტატი მიდის, „სამაგიეროდ“ ბოლო ადგილზე... გროსმაისტერიაა! წოდების მიღება კარგია, მაგრამ ახლა საჭიროა სხვა რამეც — კარგი თამაში, ეს კი ჯერჯერობით არა ჩანს. საოცარია, როგორ სწრაფად წაგო ენდშპილში **ლ. ლიბერზონმა** **რ. ხოლმოვთან**. აქ ხომ მას ყაიმის კარგი შესაძლებლობები ჰქონდა. **ვ. სავონმა** ზუსტი თამაშით იხსნა ცუდი პოზიცია **ნ. კროგიუსთან** — ყაიმი. **მ. ტაიმანოვი** სიამაყით ამბობს, რომ სამჯოლა კავშირის ჩვიდმეტ ჩემპიონატში სამასზე მეტი პარტია ითამაშა. ვიღაცამ იხუმრა, დროა თამაში ესწავლო. **ტაიმანოვი** მშვენივრად აწარმოებდა ბრძოლას **ე. ვასიუკოვთან**. პარტია გადაიდო ენდშპილში, სადაც **ტაიმანოვს** ზედმეტი პაიკი აქვს. ახლა **ვასიუკოვი** სხვადასხვა ფირის კუს იმედზეა, **ტაიმანოვი** კი თავისი სუცხოო ტექნიკის იმედზე. **ვ. ოსნოსის** პოზიცია **ი. ნიკოლაევსკისთან** უარესია. მესამე დამარცხება ელის **ბ. გურგენიძეს** **ა. გიპსლისთან**. ბუხუტი, საკმარისია, საკმარი არ არის მეტისმეტი სტუმართმოყვარეობა! **ა. სუეტინს** ამ ტურნირში ჯერჯერობით ბედი არ უდგია. მთელ რიგ შეხვედრებში ვერ გამოიყენა უკეთესი შესაძლებლობები. **ე. გუფელდი** მასთან შემოქმედებითად თამაშობდა. **ა. სუეტინის** პოზიცია უიმედოა. მას პირველი ნოლი ელის, ეს ამავე დროს **ე. გუფელდის** პირველი გამარჯვება იქნება.

გამარჯვების დიდი რწმენით თამაშობდა **ვ. კორჩნოი** **ი. ნეიისთან**. ეს ტონელს თითქოს ვეღარაფერი იხსნიდა, მაგრამ იგი უაღრესად შეუპოვრად თამაშობდა. გადადებული პოზიცია მეტად საინტერესოა. ახლა ბევრი რამ დამოკიდებულია **ვ. კორჩნოის** მიერ ჩაწერილ სვლაზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თეატრი დატოვა ყველა მაყურებელმა და მოჭადრაკეებმაც, **კორჩნოი** კი სულ ფიქრობდა და ფიქრობდა. ერთი საათის მანძილზე **კორჩნოი** იღებდა პასუხსაგებ გადაწყვეტილებას, გადაეყვანა თუ არა თამაში პაიკების ენდშპილში. მაგრამ შეიძლება კი ამ ენდშპილის მოგება? საყურადღებოა, რომ **კორჩნოის** 9 წუთი დარჩა გადადებული პარტიის 15 სვლის გასაკეთებლად, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო მან, ამას მხოლოდ დღეს შეიტყობთ, გადადებული პარტიების დამთავრებისას.

სალო ფლორი.
გროსმაისტერი.

ს პ ო რ ტ უ ლ ი ქ რ ო ნ ი კ ა

⊙ **კვირას** მოსკოვის მახლობლად სადგურ პლანიორნაიას რაიონში გაიმართა საოხილამურო გადარბენა ვეთოთვის 70 კილომეტრზე სსრ კავშირის პირველობაზე. სტარტზე გამოვიდა 72 სპორტსმენი. ფინიშის ხაზი პირველად **ი. უტრობინმა** გადაკვეთა და სეზონის პირველი ჩემპიონი გახდა. გამარჯვებულმა აჩვენა დრო — 4 საათი, 19 წუთი და 54 წამი.

⊙ **დელიზი** დამთავრდა ინდოეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ჩინებულად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. ქალთა ერთეულების ფინალში პაექრობა ჰქონდათ თბილისელებს **ა. ივანოვასა** და **რ. აბუანდაძეს**. წარმატება **ა. ივანოვას** ხვდა, რომელმაც ინდოეთის ჩემპიონობა მოიპოვა. საქართველოს ჩოგბურთელებმა პირველი ადგილები დაიკავეს აგრეთვე ქალთა და შერეულ წყვილებში. ესენი იყვნენ **ა. ივანოვა-რ. აბუანდაძე** და **ა. ივანოვა- ა. მეტრეველი.**

⊙ **მალე** შეეცდება დაიწყება მსოფლიოს პირველობის გათამაშება ხელბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. სტოკჰოლმში ჩასვლამდე საბჭოთა ხელბურთელებმა კიდევ ერთი საერთაშორისო შეხვედრა გამართეს, ამჯერად ოსლოში ნორვეგიის ნაკრებთან და გაიმარჯვეს 20:12 (12:4). საუკეთესო მომბარდირები იყვნენ **ჯ. ცერცვაძე** და **ი. კლიმოვი**, რომლებმაც ოთხ-ოთხი ბურთი გაიტანეს.

„უ მ ა ღ ლ ე ს ი ა ტ ე ს ტ ა ც ი ა“

ცნობილმა ქართველმა საჭადრაკო კომპოზიტორმა გია ნადარეიშვილმა არაერთი პირველი პრიზი მოიხვეჭა საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებში. მისი ორიგინალური ეტიუდები თავსდებოდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საჭადრაკო ჟურნალ-გაზეთებში სპეციალისტების აღფრთოვანებული კომენტარებით.

„საბავშვო ენციკლოპედიის“ მეშვიდე ტომში მოთავსებულია დიდი წერილი „ჰადრაკი“, რომლის ავტორია მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი. აქ განთქმული გროსმაისტერი წერს: „რაა ჭადრაკი? რატომ ხიბლავენ ისინი საუკუნეთა მანძილზე ადამიანებს, რომლებიც მას უთმობენ თავიანთ დასვენების საათებს, ხანდახან კი ცხოვრებასაც? რა თქმა უნდა, ჭადრაკი თამაშია. ამასთან, როდესაც მოჭადრაკე ლამაზ პარტიას ითამაშებს ან ლამაზ ეტიუდს შექმნის, რომლებიც ათეული წლობით „ცოცხლობენ“, მაშინ ჭადრაკი ხელოვნება ხდება.

რათა გავიგოთ ჭადრაკის სილამაზე, საკმარისია გავეცნოთ მაღალხარისხოვან საჭადრაკო კომპოზიციას“.

ასეთ მაგალითად მ. ბოტვინიკს მოყავს გ. ნადარეიშვილის ეტიუდი. აი ეს მშვენიერი ნაწარმოებიც მსოფლიოს ექს-ჩემპიონის შენიშვნებით.

დიაგრამა



თეთრები: მფh8, პაიკები e3, g5, h5
შავები: მფf5, კc2, მe1, პ. c5, e6.
თეთრები იწყებენ და იგებენ.

შავებს ორი ზედმეტი მსუბუქი ფიგურა აქვთ, მაგრამ თეთრების გამსკლელი პაიკები შორს არიან წაწეულნი და სწრაფად შეუძლიათ ლაზეიკად გასვლა. პირველი სვლები ადვილად გასაგებია.

1. g5-g6 მფf5-f6 (ან 1. ... e5, 2. g7 კb3 3. h6 მf3 4. h7 მg5 5. g8 ლ) 2. g6-g7. აქ შავების პასუხი მეტად გონებამახვილურია 2. ... კc2-h7. ახლა თეთრების მეფე იძულებული არახელსაყრელი პოზიცია დაიკავოს: 3. e3-e4! სრულიად მოულოდნელია! თუ რატომ ითამაშეს თეთრებმა ასე, ეტიუდის ფინალში გახდება ნათელი. ახლა იძულებენ e4-e5+ და შავი მეფე იძულებული გახდება დასტოვოს მნიშვნელოვანი თავდაცვითი პოზიცია f6 უჯრაზე. 3. ... მe1-f3 4. e4-e5+ მf3:e5 შავი მზადაა g5 უჯრაზე უნდა მოხვდეს. ამიტომ საკუთარი პოზიციიდან მხოლოდ ის შეიცვალა, რომ თეთრებმა თავი გაინთავისუფლეს e3 პაიკისაგან. 5. მფh8:h7 მe5-f6 6. g7-g8 ლ მf3-g5+ 7. ლg8:g5+ იძულებითი შეწირვა. თუ 7. მფh8 მf7+ 8. მფh7 მg5+ 9. მფh6 მf7+ და მეფე მივა ქიმი თეთრ მეფეზე. ახლა ბრძოლა ახალი ძალით იაღდება — კიდევ არაერთ გამსკლელი პაიკები. 7. ... მფf6:g5 8. h5-h6 c5-c4 9. მფh7-g7 c4-c3 10. h6-h7 c3-c2 11. h7-h8 ლ c2-c1 ლ 12. ლh8-h6+ და თეთრები იგებენ შავ ლაზეიკს. აი რატომ იყო საჭირო e3 პაიკის თავიდან მოშორება!“

მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მიერ გია ნადარეიშვილის შემოქმედების ასეთი აღიარება ნიჭიერი ქართველი კომპოზიტორის „უმაღლესი ატესტაციაა“.

გივი გამრეკელი.

ყ ა ი მ ე ბ ი ს ტ უ რ ი

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მერვე ტური. აღსანიშნავია, რომ ათი პარტიიდან მხოლოდ ერთი გადაიდო, დანარჩენები კი ყაიმით დამთავრდა.

ერთადერთ გადადებულ სმისლოვისა და ხოლმოვის პარტიაში, სმისლოვს უკეთესი მდგომარეობა აქვს.

ლეონ-გიპსლისის, კორჩნოი-ბრონშტეინის, სუეტინ-ნეის, კროგიუს-გუფელდის, ლიბერზონ-სავონის, გელერ-პოლუგაევსკის, ვასიკოვ-დოროშკევიჩის, ოსნოს-ტაიმანოვისა და **შტეინ-ნიკოლაევსკის** პარტიები ყაიმით დამთავრდა.

რვა ტურის შემდეგ ლიდერობას **ა. ლეონი** ინარჩუნებს, რომელსაც ხუთი ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. **დ. ბრონშტეინსა** და **ნ. კროგიუსს** ხუთ-ხუთი ქულა აქვთ.

ჩ ა ი ს მ რ ე ნ ვ ე ლ ო ბ ი ს ს რ უ ლ ი ა ღ ს ა ბ ა ვ შ ი რ ო ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა - ს ა კ ვ ლ ე ვ ი ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1967 წლისათვის სპეციალობების მიხედვით:

1. კვების მრეწველობის მანქანები და მოწყობილობა — I ადგილი (წარმოებისაგან მოწყვეტილი); 2. ეკონომიკა, ორგანიზაცია და სახალხო მეურნეობის დაგეგმვა — 1 ადგილი (წარმოებისაგან მოწყვეტილი).

ასპირანტურაში შემსვლელმა პირებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ ორ-ორ ცალად შემდეგი საბუთები: 1) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2) დიპლომის ნოტარიულად შემოწმებული პირი, 3) ავტობიოგრაფია, 4) დახასიათება სამუშაო ადგილიდან, 5) მეცნიერული შრომების სია (თუ ასეთი აქვთ) ან რეფერატი არჩეული სპეციალობის მიხედვით, 6) ცნობა საწარმოო სტაჟის შესახებ, 7) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

განცხადებები მიიღება 1967 წლის 30 იანვრამდე, საკონკურსო გამოცდები იწარმოებს 15 თებერვლიდან შემდეგ საგნებში: 1) სპეციალური საგანი, 2) ერთ-ერთი უცხო ენა, 3) სკკპ ისტორია. აუცილებელია რუსული ენის ცოდნა.

ასპირანტურაში ჩარიცხული პირები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით და სტიპენდიით არსებული წესის მიხედვით. განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (ქ. მახარაძე — ანასეული).

რ ა ვ ნ ა ხ ო თ, რ ა მ ო ვ ი ს ა მ ი ნ ო თ

ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ა

10 იანვარი

14.00 — დოკუმენტური ფილმი, 15.00 — გადაცემა ბავშვებისათვის, 17.55 — გადაცემა პროგრამა, 18.00 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ვინც თქვენთვის მუშაობს“ (გადმოცემა ლენინგრადიდან). 18.25 — განცხადებები, 18.30 — დოკუმენტური ფილმი „გულახდილი საუბარი“, 19.20 — გადაცემა დაწყებითი პოლიტსკოლის მსმენელთათვის — **ვ. ი.** ლენინის ბიოგრაფია — „ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — კინონარკვევი, 20.10 — მშობელთა ტელეუნ